კვლევითი
ინსტიტუტი
Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

დეკემბერი 2023



2023 წლის პირველი ათი თვის მდგომარეობით კავკასიის ეკონომიკის ზრდა 3.9%-ია. გასულ წელს კავკასიის ზრდა 7.8%-ს აღწევდა. ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება რუსეთიდან ადამიანური და ფინანსური კაპიტალის ნაკადების შემცირებასა და წინა წელთან შედარებით ნავთობის დაბალ ფასებს უკავშირდება.

- მიმდინარე წლის პირველ ათ თვეში საქართველოს ეკონომიკა 6.6%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვეს ზრდის ტემპი 6.6%-ს შეადგენდა. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი საფინანსო, სავაჭრო, ტრანსპორტი და დასაწყობების სექტორებმა შეიტანა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების სექტორებში.

- კავკასიის რეგიონში ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით სომხეთი გამოირჩევა. მიმდინარე წლის პირველ ათ თვეში სომხეთის ეკონომიკა 9.2%-ით გაიზარდა. უშუალოდ ოქტომბერში, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ეკონომიკა 6%-ით გაფართოვდა. სომხეთის ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებული წვლილი სავაჭრო სექტორს აქვს, რომელიც ამ პერიოდში 23.3%-ით მოიმატა, ხოლო სამშენებლო დარგი კი - 16.4% -ით.

- რეგიონში ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი აზერბაიჯანში დაფიქსირდა. 2023 წლის პირველ ათ თვეში აზერბაიჯანის ეკონომიკა 0.5%-ით გაიზარდა. აზერბაიჯანის ეკონომიკის 37.6% ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას უკავია. ენერგორესურსების ფასი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია. ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის გარეშე ზრდის მაჩვენებელი 3.1% იყო.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა



ინფლაციის მაჩვენებელი კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს იმეორებს. საუკეთესო მდგომარეობა სომხეთშია, ხოლო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აზერბაიჯანში ფიქსირდება.

საქართველოში მიმდინარე წელს ინფლაციის ტემპი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.1% შეადგინა. ნოემბრის ინფლაციაში მაღალი წვლილი ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს ფასებმა შეიტანა, რომელიც 5.1%-ით გაიზარდა. თუმცა, რიგ სექტორებში ფასების კლება დაფიქსირდა, მათ შორის, ჯანდაცვის სერვისების ფასები ყველაზე მეტით, 4.3%-ით შემცირდა. ამ ფონზე ცენტრალურმა ბანკმა ბოლო გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 10%-ზე შენარჩუნდა.

რეგიონში ყველაზე დაბალი ინფლაციით სომხეთი გამოირჩევა. მიმდინარე წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური კლება 0.5% იყო. ყველაზე მაღალი, 8.3%-იანი ზრდა ალკოჰოლისა და თამბაქოს ჯგუფში დაფიქსირდა, ხოლო 4.4%-იანი კლება სურსათის ფასებზე. ეს კი სამომხმარებლო ფასების ძირითადი ნაწილია. სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება მიმდინარე წელს დაიწყო. ბოლო გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 9.5%-მდე შემცირდა.

აზერბაიჯანში ინფლაციის ტემპი კლების მიუხედავად, შედარებით მაღალ ნიშნულზე რჩება. მიმდინარე წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2.6% შეადგინა. ოქტომბერში ინფლაცია 3.9% იყო. აზერბაიჯანი რეგიონში შედარებით მაღალი ინფლაციით წინა პერიოდებშიც გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებს. მეტიც, ნოემბრის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.5%-მდე შემცირდა.